

რედაქცია

მოლონის (აბას-ბატი) მადანზე, შორანოვის სახლებში.
ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში.
ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дროზდა“.
გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
საღიჯ ნომერი — ერთი შური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.
განცხადების ფასი
ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთავსებით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკლოთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავრებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
ღებუქდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროშა

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

სამართველო

ილია ჭავჭავაძის სიტყვა

(წარმოთქმული შ. თბე. ოფილ. თავდაზნაურობის კრებაში)

წინა დღეების გაცხარებულმა ბა- ასმა ცხადთ გვაჩვენა ჩვენ. ბატონე- ბო, რომ მრავალს ჩვენგანს ბანკის დაწესების უმთავრესი საგანი ან არ უცენია, ან უცენია და შესაბამი ყურადღება არ მიუქცევია, ან კიდევ უმთავრესი ვითარებისა გამო სრულიად დაიწყებინათვის მიუცია.

ბევრს ჩვენგანს ჰგონია, რომ ბან- კი ნიკოლოზისა და პეტრეს, ესე იგი, თვითვეულთა პირთა სასარგებ- ლოთ დაწესაო თავდაზნაურობამ. ამიტომაც ყოველს წესსა, რომელიც აქ წარმოგვიდგინეს დასამტკიცებლად, თავს ვესხმებოდით იმ ანგარიშით, რომ ეგ წესი მე და ჩემს ბიძაშვილს ოფედარესაო არასფერს არ გვარგუ- ნებს ბანკილამაო. ამ თვითვეულთა პირთა სარგებლობაზედ ამხედებულთა ის ტყუილი იმედი, რომ ვინც მში- ერნი ვართო, ბანკმა უნდა გავაძლო- სო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო და ვისაც მამულზე გვკანონიერი საბუთები არა გვაქვსო, ბანკმა ისეც უნდა დაგვიჯეროსო, რომ მამულები გვაქვსო. არა, ბა- ტონებო, ჩვენი ბანკი მშიერს ვერ გააძღობს, მწყურვალს თულუხნად ვერ გაუხდება, თუ არ მტკიცე სა- ბუთიდ, ვერაფრის ვერ დაუჯერებს, რომ მამულის პატრონია. ჩვენ ბანკს რომ ვგენი ეკისრნა, პირველი რომ

ქვეყანას სიცილიად არ ვეყოფოდით, მეორე რომ მაგ კისრულს თვითონ ბანკი თან გადაჰყვებოდა.

„ეს წუთის სოფელი ისეთია, რომ ვინც თვითონ არ მხნეობს, ვინც თვითონ არ იბრძვის დღიურის ლუ- კმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტი- ლია. იმას შეიძლება ერთს დღეს, ან რამოდენიმე ხანს კაცმა კაცთ-მოყვა- რებით უშველოს, მაგრამ მას მერმედ მაინც ისევე მშიერია, ისევე გასაძლო- მია, — და ერთი გკითხავთ: როდემდის უნდა ვაძლოთ ჩვენ? მე დარწმუნე- ბული ვარ, რომ რაც დღეს ბანკში ფულია, სულ რომ დღესვე დაეური- გოთ მცონარე მშიერებს, ხეალ უფ- რო ბევრი მშიერი მოგვადგება, — ხეალ რითღა გავცეთ პასუხი? რაც დღეს ბანკს ფული აქვს, ათჯერ იმაზედ მეტი ფული შეგვიძინა ჩვენ ყმების განთავისუფლებამ, — განა მა- გან მოჰსპო ივანეს და პეტრეს შიმ- შილი?

„მინც თვითონ არ ჰირანხულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ ცდილობს თავის სტომაქის ავისებას, ის, ბატონებო, ცხრილია, რომელიც მინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი ვაუწყვეტლივ ზედ მიუშვათ. რა თანხა ვაუძლებს მშიერს მცო- ნარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელიც იმოდენი უნდა იმატოს, რამოდენსაც დააკლებთ. თუ ჩვენგა- ნი ვინმე ამისთანა გრძნეულს თან- ხას შეადგენს, ჩვენ იმისათვის დი- დის სიხარულით გზა დაგიცილია. მიმეორებ: ერთხელ და ორჯელ რომ გააძლოთ მცონარე მშიერი, ქვე კაც- მოყვარებაა, მაგრამ მაინცა და მაინც

ამით სამუდამოდ წყლულს ვერ გა- ვიმთვლებთ, იმიტომ-რომ თავის თა- ვის წყლული თვითონ მცონარე მშიერი არის. ან რად გვინდა, რომ ამ გვარ კაცთათვის ვგრე ვწუხებართ და ჩვენი მწუხარება იქამდინ მიგვყავს, რომ გვინდა ბანკი მაგ მწუხარებას ვანაცვალოთ. მცონარეობას რომ საზრდო მივსცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გამრავლებას მოასწა- ვებს. წაქეზება, ხელის გამართვა გა- ჰირებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხნე- ლი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი, — და არა მშიერს მცონარეობას, რო- მელიც იმოდენად დიდს პარს ადებს, რამოდენადც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც რამოდენად ძლიერია, იმოდენად აღარბებს ქვეყანასა. ჩვე- ნის ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც აღრე მოეშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთე- ლობას, დღეგრძელობას და კეთილ- დღეობასა.

„მინც მინც და მაინც ბანკს შეჰ- ხარის მარტო თავისის პირადის სარ- გებლობისათვის, ის ბანკისაგან უნდა მოელოდეს მხოლოდ იმას, რომ ბანკი ფულს ასესხებს, იმასაც დიდს სიფრთხილით, რომ ბანკს ფული არ დაეკარგოს. ამის მეტს თვითვეული ჩვენგანი ცალკე და საკუთრად ვე- რასფერს ვერ გამოარჩება ჩვენს ბან- კსა. მწუხებარ, რომ ეს ასეა და უფრო ვწუხებარ, რომ შეუძლებელია ეს ასე არ იყოს.

„ღიან, ბატონებო! შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითვეულს ჩვენგანს ცალკე სესხის მეტი სხვა რამ შემწე-

ობა მოუტანოს, მე ვამბობ, თეი- თვეულს ცალკე. მაგრამ უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ესე იგი, იმით რომ ფულს ასესხებს, კაცის ამხენე- ბელიც არის და დამლუპავიცა. მინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარიმართოს, ღეთის წყალობა თქვენა გაქეთ, რომ იმისათვის ბანკი ყოველად მხნელი სახსარი იყოს. მაგისთანა კაცს არა სასტიკი კანონი, ბანკის სიმკვიდრის ქვა-კუთხედად და- დებულო, ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფთხობს, გულს წინადევე ვერ გა- უხვებთქს, იმიტომ-რომ მხნე და ბეჯი- თია. ბეჯითობა კიდევ თითქმის ყო- ვლად შექმლებელია, ანგარიშიანია, იცის, რომ ფულს წინდაუხედავთ არაფერ არ გაასესხებს, თუ ფულის დალუპვა არ უნდა. ამისთანა კაცს იმ ბეჯითობასთან, იმ მხნეობასთან, იმ შეუწყვეტელ შრომის სურვილ- თან ოღონდ ფულის შოვნის გზაც მიეცით და რაც უნდა ძნელი გზა იყოს, იგი იმ გზას უსათუოდ გადა- ლახავს. მარტო ამისთანა კაცი უნდა შეჰხაროდეს ჩვენს ბანკსა და ჩვენც, მოწყალენო ხელმწიფენო, მარტო მაგისთანა კაცს უნდა წავხაროდეთ. ძაცი ბეჯითი, მხნე, შრომის მოყვა- რე რამოდენსაც თავის თავს შეჰმა- ტებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანა- საც: თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მოუმატოს, ჩვენი ქვეყანა უ- წინდელზედ ოცის კოდით უფრო მდიდარი შეიქმნება იმის მეოხებით

ფელტონი

იმიერლები

რომანი

თავი მეორე

„იგინი“ და „ისინი“

V

პეტერბურღში, მასილის კუნძულ- ზედ, ერთი დიდი სახლი სდგას, რო- მელშიაც ორი-ათას ცხოვრებლამდი თავსდება და მათს რიცხვში ასამდე მაინც, თუ არ მეტი, სტუდენტები იქმნებიან, რადგან მათთვის ის სახლი სამარჯოა, როგორც უნივერსიტეტ- თან სიახლოვით, ისე ოთახების სია- ფითაც.

1862 წ. ამ ზემოხსენებულს სა- ხლში, ერთს ვრცელს ოთახში იყე- ნენ შეკრებულნი რამდენიმე ახალ- გავდა სტუდენტები, რომლების შე- ხედულებაც ამტკიცებდა, რომ ისინი კაცკასიელები იყვნენ.

საზოგადოდ ორი და სამი სტუდენ- ტი თუ ერთად არის, იქ უთუოდ ბა- სი უნდა ასტყდეს... შმისობა არ მო- ხერხდება; იმ დღეს კი ყველანი მშვი- დობიანთ იყვნენ, თუმცა მათი რიც- ხვი, არა თუ სამს, ოც და ათსაც კი აემტებოდა.

როგორც მათის შეკრების, ისე მათისსიჩუმისა მიზეზი ის იყო, რომ რამოდენიმე მათგანს გაეთავებინათ უ- ნივერსიტეტი და ბრუნდებოდენ სამ- შობლოსაკენ; ამხანაგები გამოსათ- ხოვარ სადილს უმართავდენ მათ და გზის დალოცვით უპირებდენ გაცი- ლებას.

VI

ძარგი სანახავია ახალგაზდა ჭაბუ- კი, რომელსაც ვერ ცხოვრების ტალ- და არ მოხვედრია, რომლის გულიც დროთა ვითარებისაგან არ გაქსუებუ- ლა, რომლის სინდისი ქვეყნის უკუ- ღმართ - ბრუნვას არ შეუბღალავს,

რომელიც მძიმე ტვირთის ქვეშ არ მოხრილა და რომლის ოცნებანიც ვარდის-ფრად იფანტებიან ლაქვარ- დიანს უფსკრულში. მისი თვალები ანგელოზის სარკმელებს წარმოგვიდ- გენენ მაშინ და სახეზედ ნამდვილი კაცური ღირსების ბეჭედი აზის.

მე, რომელი ჩვენგანი არ ყოფილა ერთს დროს ამ გვარს სახარბიელო მდგომარეობაში, მაგრამ ბევრს კი შეგვრჩენია მამაცობა რომ გამოვტყ- დეთ? არა! არა! ჩვენ ჩვენის გასამარ- თლებლათ, დღეს, ხანში შესულები, თითქოს დავსცინით იმ ჭაბუკობის დროს და რაც უხვიროს ღრეკით თავს იმედს ვაძლევთ შემდგენს უსა- ფუძლო სიტყვებით: „რა სულელი, რა გამოუცდელი და რა ყმაწვილი ვიყავით მაშინ და სხე...“

მართალია, ამ სიტყვებში სიმარ- თლეა, რადგანაც ეკლიანის ქვეყნის ვარდით მიღება შეცდომაა, მაგრამ

როდესაც ამ ქეშმარიტებას გავიგებთ ზოლმე, მაშინ ხომ ჩვენი უმანკოე- ბაც გვეთხოვება?!

ღიან, გამოცდილება არის ცხოვ- რების გვირგვინი, მაგრამ რათ მინდა ის გვირგვინი, რომელიც გულს მი- სრევას და სასოებას მიკვეთს? — ბო- როტზედ მაფრთხილებს, მაგრამ ქე- თილზედ კი ნდობას მაკარგვინებს? მე, იყოს წყეული ის მიზეზები, რომ- ლებიც იძულებულსა მყოფენ ჭაბუ- კობილამ გამოსვლისას!... მინ არის რომ ჭაბუკობის ერთს წელიწადს და- ნაშენი მისი საუკუნე არ ანაცვა- ლოს, რომ მოგებრხებოდეს?... მარ- თალია, ხშირად სცდება ჭაბუკობა, მაგრამ იმ შეცდომაში უმანკო და ტკბილი განზრახვები იხატებიან!! და მაშინ არის, რომ იძახის კაცი:

ბასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი!
ღიან, არ ჰგავს ეს ჭაზრი იმ ჭი-

და ჩვენის ბანკის შემწევობით. მუ
შეგწეხდებით ვისთვის მე, სწორედ
ამისთანა კაცისათვის უნდა ვიწუხოთ.
მუ ეს ასეა, მაშ ჩვენგან რამდენ-
ჯერმე წარმოთქმული მწუხარება მას-
ზედ, რომ ბანკის კანონები სასტიკი-
აო, ნოტარიუსთან მესარება მისვლაო
და სხვა ამგვარი, — მეტია და სათაკი-
ლო ამისთანა კაცისათვისა. მეტყვიან,
რომ თუ მართლა მართა მ. გისთანა
კაცებს უნდა უხაროდეს ბანკი, მა-
გისთანა კაცები ჩვენში ცოტანი არი-
ანო, მაშ ბანკი რაღად გინდობდა?
მეც სრული ჩემის გულის ტკივი-
ლით დაგვთანხმებით, რომ მაგისთანა
კაცები ჩვენში ბევრნი არ არიან,
მაგრამ ჩვენი უგულოთადესი სურვი-
ლია, რომ მართა მაგისთანანი გამ-
რავლდნენ. სხვანი კი, ესე იგი, ისინი
ვისაც ბანკი უხარინ მართა იმის-
თვის რომ ფულს მალე ვისესებო
და იმ ფულებით ქეთს ვაგწევო,
იმათთვის არამც თუ ჩვენი ბანკი,
ყოველ გვარი ბანკი წინაღვე გათ-
ხრილი სამარეა. ჩვენი ბანკი, მართა-
ლია, ამისთანა კაცსაც ფულს ასე-
ზედ, რადგანაც ჩვენი ბანკი კაცს კი
არ ანდობს ფულს, არამედ მის უძ-
რავს ქონებას, მაგრამ ეგ სესხი მო-
უღებს კიდევ ბოლოს ამ გვარს კაც-
სა. სესხს მოშორება უნდა და ეგ
მოშორება მხოლოდ მაშინ შეიძლე-
ბა, როცა კაცი ნასესხს ფულს ხეი-
რიანად მოიხმარებს. მუ არა და გა-
ეყიდება მამული და ამით უკანასკნე-
ლი ლუკმა გამოეცლება პირიღამა.
ამ გვარს კაცს არა ეშველებარა.
ნურავის ნუ გვაქვს იმედი, რომ ამ
გვარს კაცს ბანკმა უშველოს რამე.
შინც თვისის ხელით წყლულს ხელ-
ანლად იწყლულდეს, იმას ვერა მო-
არჩინს რა სიკვდილის მეტი.

„ძიღვე განვიმეორებ, რომ ვინც
მოვა და გეკითხავს. — საკუთრად მე,
ცალკე რას მარგებს ბანკიო, იმას
დაუშალავად ვეტყვი: საკუთრად შენ,
ცალკე ბანკი მართა იმას გარგეს,
რომ ფულს გასესხებს, ისიც დიდის
სიფთხილით, დიდის შორ-მხედველო-
ბით და დიდის ანგარიშით, რომ ბანკს

ფული არ დაეკარგოს. მუ შეგაწუ-
ხებთ მაგისთანა პასუხი და კდევ
გაჯავრებული მეტყვიით: მაშ რაღად
გინდობდა ბანკიო? მე სხვა კითხვაა
და მაგის პასუხად აი რას მოგახსე-
ნებთ:

„ბანკი თავად-აზნაურობამ დააწესა
იმ განზრახვით, რომ მისგან წმეწი-
რული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს
ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს რომ
მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაე-
კარგოს, სესხმა ფული ასარგებლოა,
ფულმა ფული მოიგოს და მხო-
ლოდ ამ მოგებთ დამ უფრო
ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო
საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კი-
დევ ღარიბთაც გაუწაწილდეს, იმ ღა-
რიბთა, რომელნიც რომ დიემ უბე-
ღურების გამო სიღარიბეში ჩაცვი-
ნულან და არა იმთ, ვინც გულ-
დაღა წვანან, გულზედ ფაფუკი ხე-
ლები დაუკრფნიან, პირი დაუღიათ
და ჰყვირიან მასეთ და მაქამეთო.
მართის სიტყვით — ჩვენმა თავად-აზ-
ნაურობამ, რომელმაც ისეთი სამაგა-
ლითო სხვერპლი მოიტანა საერთო
სიკეთისათვის, რომელმაც ეგრე კე-
თილ-შობილურად შემწერა თავისის
ქვეყნის სიკეთეს ის რაც შეეძლო
და რომელიც, ჩვენ და სასიკადულოდ,
ამაღლდა იმ ღეთიურს და ბრწყინ-
ვალე აზრამდე, რომ თვითვეული
ყველასათვის უნდა იყოს და ყვე-
ლა თვითვეულისათვის, — ამ თავად-
აზნაურობამ დააწესა ბანკი მართა
იმ უმთავრესის განზრახვით, რომ
ბანკმა ჩვენს ფულს ფული მოაგები-
ნოსო, ეს მოგება გიუწყევტლივ იყო-
სო და ამ მოგებით შეუწყევტელი,
მულამი წყარო გაუჩინოსო ჩვენს
ქვეყანას საერთო გაჭირების სასწე-
ლად, — და თუ ჩვენგან ვინმე მო-
ვაო და გეტყვითო, წლები გამოცდა
და შემოკრეთო, ის ხარზთან გაგ-
ზანეთო.

„ეს არის, ბატონებო, უმთავრესი
აზრი, რომელიც თავად-აზნაურობამ ქვა-
კუთხედამ დაუდგა ბანკსა და რო-
ძელმაც თავისის მშვენიერობით, დი-
დებულებით, თავისის მაღალ-ზნეო-

ბით მიზნადა ყოველივე ჩვენი თანა-
გრძობა. ამ აზრზედ არის დამყარე-
ბული ჩვენის გაჭირებისაგან, სიღა-
რიბისაგან ხნის იმედი. ნუ თუ
ჩვენგანი ვინმე რაიმე პირადის ან-
გარიშისა გამო მოინდომებს, რომ
ამ აზრს ელატოს?! ნუ თუ ეხლაც
ცხადი არ არის რისთვის ცდილა ბან-
კის ზედამხედველი კომიტეტი, რომ
ბანკის საქმე მკვდრად, ფრთხილად
და წინასწარ-მხედველობით წარმარ-
თულიყო?! ჩვენ გვაშინებს ჩვენის
ბანკის კანონების სისასტიკე! რაღ?
ნუ თუ მათ რომ მართა ეგ სისას-
ტიკეა ჩვენი თავდები, რომ ბანკი
არ დაგველუბება, მართა ეგ სისას-
ტიკეა თავდები, რომ ის ბრწყინე-
ლე აზრი თავად-აზნაურობისა ყოვე-
ლად მხსნელ საქმედ გარდქცევა
ყველასათვის ერთად და მაშასადამე
თვითვეულისათვისაც ცალკედ?!

„ღიან, ბატონებო, ზედამხედველ
კომიტეტმა ჩემზედ უკვედ გამოიკ-
ვლია ის დიდებული აზრი თავად-აზ-
ნაურობისა და ამისთვისაც მთელი
თვისი ყურადღება მიექცია, რომ ეგ
აზრი შესრულდეს. მაშასადამე ყვე-
ლაზედ უწინარეს რაზედ უნდა ეფიქ-
რნა კომიტეტსა? მასზედ რომ ბანკი
არ დაგველუბოს, მასზედ რომ ბანკმა
მოიგოს რამე, რადგანაც მართა
შემდეგ მოგებისა იწყობა ის მოვა-
ლეობა ბანკისა, რომლის მეოხებით-
თაც ჩვენს საერთო ჭირს უნდა ეშვე-
ლოს. რა არის ამისთვის საჭირო?
მკვიდრად, სასტიკად, შეუცდომელად,
დიდის სიფრთხილით, დიდის შორ-
მხედველობით ბანკის საქმეთა სათა-
ვიდამდე დაწყოება და წარმოება. მო-
ველი თქვენგანი, რომელმაც კი ყუ-
რადღებით მოისმინა კომიტეტისაგან
შედგენილი დაფასების წესდება, ის
დამეთანხმება, რომ კომიტეტს ჩვენ-
გან მიწოდებული საქმე, ბანკის მკვიდ-
რად დადგენის შესახებ, ღირსეულად
და კაცთა შესაძლო წინასწარ-მხედ-
ველობით შეუსრულდება. მჩივით,
სასტიკაო ეგ დაფასების წესდება.
სწორედ მაგეთი უნდა იყოს რომ
ჩვენი იმედი არ გაკუდდეს, რომ

საერთოო საქმე თორღვე მცოდნე
კაცის გამო არ დაგველუბოს?
„დაფასება ბატონებო, ბანკისათვის
ის არის, რაც ვერა ადამიანისათვის.
მართა პირუთენელს, მართალს და
რიგიანს დაფასებას შეუძლიან ჩვენის
ბანკის ფეხზედ დაყენება. მე არის
ფეხი, რომელმაც უნდა გამოზარ-
დოს ნაყოფი ჩვენის ბანკისა, ეგ არის
ქვეთკირი, რომელზედაც უნდა დამ-
ყარდეს ჩვენის ბანკის დღეგრძელო-
ბა და კეთილ-ღღობა, ეგ არის აღ-
მადგინებელი ჩვენის მამულების და-
ცემულის ფასისა. ეგ არის მოცქე-
თი ჩვენისა და ბიუჯეტისა, ეგ არის
ბიუჯეტის თავდები, რომ იმის ნდობას
ჩვენგან არ ელატება, რომ მისგან
მონდობილი ფული ჩვენზედ არ დაი-
კარგება; ეგ არის ამწევი და დამწე-
ვი ჩვენის ბანკის ბილეთის (ხაკლან-
დნი ლისტების) ფასისა.

„მართა წესიერად და სასტიკად
მოწყობილს დაფასებას შეუძლიან
მოახდინოს, რომ ყველა უშიშრად
მონდოს ჩვენის ბანკის ბილეთ-
ებს, რომ ყველამ სასარგებლოდ
დაისახოს მაგ ბილეთების ყიდვა, —
ერთის სიტყვით, დაფასებამდე არის
დამყარებული ყოველივე ჩვენი იმე-
დი, ყოველივე ჩვენი ხასობა.

„დაფასებამ რომ ამისთანა მრავ-
ალ გვარი და აუცილებელი სამსა-
ხური გ გვიწიოს, ორი რამ არის სა-
ჭირო: ერთი დაფასების სასტიკი და
რიგიანი წესდება და მეორე რიგიანი
კაცების ამორჩევა და დაფასებლად.
პირველი ღირსეულად შეგვისრულა
ჩვენ ზედამხედველ კომიტეტმა.
მეორე კი თქვენზედ არის დამოკი-
დებული, დღეს ამისათვის ვართ აქ
მოწვეულნი. მხსნოთ ღმერთი და
ვინც მართლა და ღირსი გვეგონოს
ჩვენის ნდობის, ჩვენის იმედისა,
მართა ისინი ამოვიჩიოთ. ნუ აფ-
ყვებით ნურც ძმობას, ნურც ნათე-
საობას, ნურც მეგობრობას, ნურც
მტრობას და ნურც ვისიმე თხოვნასა.
შეუდგეთ ამორჩევის ისე როგორც
ჩვენმა სინიღისმა გვაგონოს თვითვე-
ულს ჩვენგანს საყოველთაოო სიკე-

სავით ღოღილა ჰზრს, რომელიც ამ
სიტყვებით იხატება: „სიფრთხილეს
თავი არ სტიკავო!.. ა ჯერ გ ზომე
და ერთხელ გასტიკო!..“ შუი! შმო-
რის სუნე უღის ამ სიტყვებს!...

VII

მუცა ათი ახალ-გაზდა, იმ ზემო-
თქმულის ღირსებაებით შემკული, აბ,
წარმოიდგინეთ, თუ რა სანახავები
იქნებოდნენ! და მართლაც, მაშინ
რომ გენახათ ის ჩვენი ახალგაზდე-
ბი და დაგვედოთ ყური მათის ბა-
სისათვის, მათს სამშობლოა, უეჭვე-
ლია, ბევრს საიმედოს უქადებდით:
ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას?

იმ დღეს, როგორც საზოგადოდ
ყოველთვისაც, ბევრი სიტყვები ზო-
ქვა, ბევრი დპირება და მამაკური
მოქმედების სურვილის გამოცხადება.
როგორც მათის სიტყვიდამ სხანდა,
ისინი ემზადებოდნენ სამშობლო-
სათვის მოციქულებად და თავს

მსხვირპლად ითვლიდნენ.

„მერ შეგავინოს ტანჯვამან, თუ თავ-
ში ჰზრი ბრწყინავდესო!“
მძახდნენ. რასაკვარველია, როგორც
ყოველთვის და ყოველს საქმეში ისე
ახლაც, რამოდენიმე ახალგაზდები არ
იღებდნენ მონაწილეობას იმ აღტა-
ცებით აღაქმებში.

VIII

მართი 18 წლის ახალგაზდა პირ-
დადებული შეჩერებოდა ხან ერთსა
და ხან მეორეს. მითონ არას ამბობ-
და, მაგრამ ეტყობოდა კი რომ რა-
ღაცას ფიქრობდა თავისთვის ჩუმად
და იმ ფიქრებსაც თავის გულში
იკლავდა. მეორე პირველზედ კი-
დევ უფრო ახალგაზდა, თითქმის
იქ მყოფებზედ ყველაზედ უმცრო-
სი, თავ დაბრით იჯდა თავისთვის
კუთხეში, ჩვედო კატა ხელში და
აწვალდებდა: ხან ეფერებოდა, ხან კუდს
მისცემდა ხოლმე პირში და ატყუე-

ბდა და ხან ისე უქერდა ხელს, რომ
კატა საცოდავთ ჰყოლოდა, ბოლოს, რომ
მოეწინა, აიყენა კატა და ზურგზედ
შეუდგო; ერთი ამხანაგს, რომელიც
წამოუფარდა ზეზედ, ჯატრილდა ჯარა-
სავით და უთხრა: „არ იცი, რომ მე
ეგები არ მიყვარს!.. ახლა ხომ და-
მკაალწა სერთუკი და კარგია? შპორ-
ჩილესად გთხოვთ რომ თავი დამ-
ნებოთ!“ ამ ამბავმა ყველა სტუ-
დენტების ყურადღება მიიქცია და
რადგანც ეს უსაქცილობათ ჩასთვა-
ლეს, ამისათვის უსაყვედურეს იმ
ცელქს, მაგრამ იმან კი ყურადღება
არავის მიექცია! მისწორა სათვალე-
ბი, რომელიც სრულიადაც არ ეჭო-
ვებოდა მის შავს და სწორ-მხე-
დველ-თვალეზე, და მიჯდა კუთხე-
საკენ იქ, სადაც ერთი ახალგაზდა
იჯდა და სულ იცინოდა ავზე აუ-
კარგზედ. იმათთანვე მივიდა პირდა
სტუდენტი და შეაჩერდა ცელქს. ამ

ღროს უეტრად იმ მესამე, რომე-
ლაც სულ იცინოდა; ჩიკო პირიას
თითი ღია პირში და გადაიხარხარა!...

ამ უხვირო ხუმრობამ სულ გა-
დარია სტუდენტები! — იმათ ეს მი-
იღეს შეუფერებელ და უკადრის ხუმ-
რობათ; შეიქნა ერთი „სუთუ“ ძა-
ხლი და ბოლოს ერთმა მათგანმა
სთქვა ბრძნულად: „ქეშპარიტად ცო-
ლოა, რომ მაგათთანა ყაწვილებს ჰგ-
ზანინან აქ სასწავლებელად!.. აბა
მაგათგან რა უნდა გამოვიდეს ხეი-
რიანო?..“

მს სიტყვები, თუმცა ჩურჩულით
იყო ნათქვამი, მაგრამ მაინც მოჰკრა
ყური იმან, ვისზედაც ეს ითქვა და
ერთი მისთანა გაღიხარხარა, რომ
თითქოს ისტერიკა მოსვლოდნენ.

— რას იცინი. — ჰკითხა ცელქმა? —
— რას ვიცი? მერ ვაიგონე რა
სთქვეს ჩვენზედ!.. მაუგო ახალგაზ-
დამ სიცილით. აკვირ
(გაგრძელება)

თისათვის. მერწმუნეთ, სინიღის ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ შგე-
 ეცდნენ, ვიდრე სხვა რამე. ბ ტონ-
 ბო, გულში ჩაინერგათ, რომ დღეს
 ყოველს კენჭ ალაღებდნენ ჩადე-
 ბულს ჩენი დლატიც შეუძლიან
 და ერთგულობა, ნუ დაიწყებთ,
 რომ ჩვენ დამფასებლად გვინდა
 კაცნი სიმათლის მოყვარენი; პი-
 რუთენი, კეთალ - სინიღისანი,
 მკოდენი, ქუთა - გონება გხსნილ-
 ნი, ესე იგი, იმისთანანი რომელთაც
 ქალაქში თუ სოფლებში ნდობა აქვს
 და რიგიანობის სახელი და არა იმის-
 თანანი, რომელთა ამორჩევიანად
 ხვალ აქვე ბაზარში სიცილოს დაიწყო-
 ბენ. მხოტვეთ, ბანკისათვის არ ვი-
 ზრუნოთ, თქვენთვის საკუთრად
 მაინც რა სახეირო იქნება ამოვარ-
 ჩოთ იმისთანა კაცნი, რომელთაც
 დ ფასების მოვალეობის აღ რუღე-
 ბა არ შეუძლიან. სულ იმასა ეჩი-
 ვით, — საქმე ისე უნდა მოგვიწყობოთ,
 რომ ფული მალე მივიღოთ. მე
 სიჩქარე არასფერზედ არ არის და
 მოკიდებული ისე როგორც რიგანს
 დ ფასებზე. თუ დღეს იმისთანა
 კაცებს ამოვიჩვენებთ, რომელნიც რი-
 გიანად ვერ შეასრულებენ თავის თა-
 ნამდებობას, თქვენ დაგიბრკოლდე-
 ბათ საქმე: ამ გვარ კაცთაგან მი-
 კონკილ-მოკონკილის სიის ძლით
 თქვენ ბანკი ფულს არ მოგცემთ.
 მაგ სიას ხელახლად მოუწდება შედ-
 გენა, ხელახლად მოუწდება გასინ-
 ჯვა, — და იცით ვე ხელახლობა რა-
 მოდენა დროს დაღუბავს. მართის
 სიტყვით, — დღეს რომ აქ სინიღის
 ელატრას, ელატრება ჩვენს ბანკს,
 ელატრება თავდაზნაურობას, ელა-
 ტრება ჩვენს საკუთარს თავს, ჩვენს
 საკუთარს ოჯახს, ჩვენს საკუთარს
 ცოლ-შვილს, ჩვენს მომავალს, ჩვენს
 იმედს, ჩვენს სასოებას და ამ მშვე-
 ნიერ ქვეყანას, რომლის შეილო-
 ბაც და ერთგულება ყველა-ჩვენგან-
 ნისათვის სასიძაღლო უნდა იყოს.
 ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ შთამომა-
 ვალნი ვართ იმისთანა მამა-პაპებისა,
 რომელთაც თავი შეუწირავთ ამ
 ქვეყნისათვის. ნუ თუ ჩვენ იმათი
 შთამომავალნი, იმათი სიხლ-ხორ-
 ცნი მართლა ისე გაფორმდით მი-
 წათან, რომ სიმათლრთ კაცის
 ამორჩევა აღარ შეგიძლიან ქვეყ-
 ნის საკუთილოდ! ჩვენს მტერს ნუ
 დავანახებთ მაგისთანა მაგლითს და
 ჩვენს მოყვარეს ნუ წარუღვკვეთთ
 ჩვენდამა სასოებას!...

განზრახვამ მუქთად არ ჩაუარა მო-
 ყვარეთა: თელაგის წმ. ნინოს სას-
 წავლებლისათვის ფულს აიღებდნენ
 და თამაშობისთვის თათო-აროლა
 და ზოგს მეტი ტაშიც ერგო.

მაშ ეხლა თავისუფლად შეგიძლიან
 ამ წარმოდგენაზე ლაპარაკი და იმე-
 დი გვაქვს, რომ ეს რამდენიმე სიტ-
 ყვა ზნეობით და მატერიალურად
 არაფერს და არვის აენებს.

რამდენჯერმე გვინახავს სცენაზე
 „ზაყრას“ წარმოდგენა, მაგრამ (სცე-
 ნის მოყვარებთან ნურას უკაცრა-
 ვად) და უნდა გავტყვიდეთ, რომ ამის-
 თანა უფერულათ, ამისთანა უღაზა-
 თოთ და მოწყენილად ეს პიესა სცე-
 ნაზე არასოდეს არ გვინახავს.

მერ ვიტყვი, რომ ყველა მოთა-
 მაშეებს მაინცა და მაინც სუსტათ
 აესრულებინათ თავიანთი როლები.

მაგრამ ამ წარმოდგენით ცხადათ
 დამტკიცდა, რომ თუ მართლა ნამდვი-
 ლი ნიჭიერი აქტიორები და აქტირი-
 სები არ თამაშობენ ამ გვარი კომე-
 დიების როლებს და თვითონვე არ
 ამშვენიერებენ, ისე იმათ ერთი უმ-
 თავრესი თვისება სასცენოთ დანიშ-
 ნულის დრამატული თხზულებისა
 — სცენური ღირსება — აკლიათ. აუ-
 ცილებელად ან მ. ნჭია იმერელი
 უნდა იყოს და ან სამასხაროთ აღე-
 ბული სომეხი, — თორემ ისე ვერ
 ხერხდება რიგიანი წარმოდგენა ამ
 გვარი თხზულებებისა.

თუმცა, როგორც ზეითისთქვით
 საზოგადოებას მოთამაშეებისათვის ტა-
 ში არ დაუკლია, მაგრამ ეს არც იმათ
 როლების კარგათ შესრულებას უნდა
 მიეწიროს და არც თხზულების ღირ-
 სებას: ტაშს უკრავდნენ მხოლოთ იმი-
 ტომ, რომ ქართული წარმოდგე-
 ნა იყო, თორემ ყოველი მოქმედება
 ისე უკუდოთ, ისე უხეიროთ, ისე უე-
 წიქტოთ თავდებოდა, რომ მართალი
 უნდა ეთქვათ ტაშის ღირსი სრუ-
 ლებით არ იყო.

ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ
 ცხადათ დაგვანახა ჩვენი რეპერტუარის
 სიღარიბე; დაგვანახა, რომ ძველი პიე-
 სები ახლანდელი ქართველი საზოგა-
 დების მოთხოვნილებასა და გემოს
 ვეღარ აკმაყოფილებენ; რომ უფრო
 ახალი, უფრო თანამედროული ცხო-
 ვრების გამოხატეას ეძებს მაყურებე-
 ლი სცენაზე.

თუ სცენის მოყვარეთ ეს ვარე-
 მოება არ მიიღეს მხედველობაში,
 მთელს საზოგადოებასაც ისე მოსწყინ-
 დება, ისე მოაბეზრებს თავს ეს ძვე-
 ლი კომედიები, როგორც იმ გან-
 ცალკეებულ პირებს, რომელთაც უან-
 გარიშოთ ერთ გვარმა შთაბიჭდილე-
 ბამ, ერთმა და იმავე პიესებმა ნერ-
 ვები დაუბლაგვეს და რომელთაზე-
 დაც სცენას არავითარი გავლენა აღა-
 რა აქვს.

ს. მესხი

დღიური

□ თფილისის აზნაურობის საად-
 გილ-მამულა ბანკის სამმართველომ
 წარუდგინა ამავე ბანკის ზედამხედველ
 კომიტეტს შემდეგი აზრი:
 „თფილისის აზნაურობის საადგილ-

მამულა ბანკის სამმართველომ მიი-
 ლო რა მხედველობაში: 1) რომ ბან-
 კის წესდების მე-27 მუხლით მხო-
 ლოთ ორი ვადა დადგენილი ხანგრ-
 ძლივის ვადანის სესხისათვის — 54 1/2
 წლისა და 18 წლისა და 7 თვისა,
 რომ ეს მუხლი ავიწროებს მსესხე-
 ბელს, რომელსაც უფლება აქვს სხვა
 ვადებითაც ისარგებლოს, აუცილე-
 ბელ საჭიროებათ ჩათვალია § 27
 და 30 ასე შეიცვალოს:

§ 27. ხანგრძლივი სესხის აღება
 შეიძლება: 1) სახნავე-სათვის, საბალა-
 ხე და სათიბი ადგილების გირაოთი
 54 1/2 და 43 1/2 წლითა და 2) ქალაქის
 უძრავი მამულის გირაოთი 27 1/2 წლი-
 თა და აგრეთვე 18 წლითა და 7
 თვით.

2) მემამულე, რომელსაც ერთს წე-
 ლიწადზე მომატებულის ვადით ჰაურს
 გასცეს იჯარით თავის მამული, ვალ-
 დებულება, ნება-რთვა აიღოს ბანკი-
 დამ, თუ ამ მამულის გირაოთი ბან-
 კი დამ ფულების გამოტანა უნდა; ან
 ვალდებულება იჯარის პირობაში ჩას-
 წეროს, რომ მამულის გაყიდვის დროს
 ამ პირობას მამულის მყიდველისათ-
 ვის ძალი არა აქვს.

საზოგადო კრებაში ამ ორნ მუხ-
 ლის შეცვლის თაობაზე ბევრი იბაა-
 სეს; ბოლოს კრება დათანხდა წინა-
 დდებაზე.

□ ი. ნერის 3 და 4 თფილისის
 გუბერნიის თავად-აზნაურობის არა-
 ჩვეულებრივმა კრებამ ამოიჩინა ბან-
 კის დამფასებელნი, თითო უფსზე თი-
 თო კაცი და მათთან თითო კანდიდატი.

თფილისის უფსდში აირ-
 ჩიეს დამფასებელად შიორგი მრბე-
 ლიანი (163 თეთრი კენჭი და 16
 შაგი) და იმის კანდიდატთ ალ. ბა-
 რათაშვილი (92 თეთრი და 87 შაგი).

ბორის უფსდში, დამფასებ.
 ივანე ავალიშვილი (93 — 59), კანდი-
 დატთ ბრიგ. მარხნიშვილი (89 — 63).

ლუშეთში, დამფასებ. — ბეჟან
 რატიფეი (112 — 51), კანდ. — მ. ტატე
 ბაგრატიონ-მუხრანსკი (108 — 55).

სიღნაღში, დამფასებ. — ალ.
 აბაზაი (132 — 34), კანდიდატთ — სვი-
 მონ ჩიქვიშვილი (90 — 76).

თელავში, დამფასებ. — ლევან
 ჯანდიერი (146 — 14), კანდიდატთ —
 ირაკლი შაყვაძე (71 — 89).

□ ამბობენ, ქალაქის გამგეობას
 ყურადღება მიუქცევია იმ ჩივილისა-
 თვის, რომელიც ყოველის მხრიდამ
 ისმის შესახებ მუშებისა და მოსამსა-
 ხურების შევიწროებისა და განკარ-
 გულება მოუხდენია, რომ ისე უკა-
 ნონოთ და დაუკითხავათ არავინ დაი-
 ქირონ ქუჩებში, როგორც დღემდე
 უფ. ბურგენბეგოვის მოადგილე მდიჯა-
 რდარის, უფ. ზეინალოვის დაყენებუ-
 ლი კაცები იჭერდნენ. ეს ახალი მიე-
 ჯარდრე მანეთიანი გადასახადისა თფი-
 ლისის აღებს უცხადებს ახლა, რომ
 უბილეთოთ ნურავის დაიჭერთო, ბი-
 ლეთის აღება ამ და ამ ალაგას ჩემს
 კანტორებში შეიძლებაო.

ძლივს არ მოვესწარიო!..

□ თფილისის თეატრის რუ'ული
 წარმოდგენების ტრუჰპას ამ თებერ-
 ვალში თუ მარტის დამდეგს უთავ-
 დება კ. ნტრაქტის ვადას ჩვენს ქვეყ-
 ნით, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ
 ვიტყვი — მართალია ეს ამბავი, თუ
 არა, შეეიტყვეთ, რომ მომავალი ორი
 წლის განმავლობაში ქალაქი რუ-
 სულ წარმოდგენებს მოკლებული იქ-
 ნებაო, რადგან დირექცია არც ძველ
 ტრუჰპას სტოვებს და არც ახლის
 დამარებას ჰუიქრობსო.

ბოლოში ვიხდით ჩვენს მკითხველებ-
 თან, რომ ადგილის უქონლობის გა-
 მო, ჩვენი გაზეთის დღ ვანდელს
 ნომერში უცხო ქვეყნებისა და რუ-
 სეთილამ ვერ ფერს ამბავს ვერა ვებე-
 დავთ.

ქრონიკა

სტატია XV
 შინაურული მდგომარეობა
 მართლმადიდებისა

(1292 — 1327 წლამდე).

მანთანგი მე III მ ფობის დროს
 საქართველო თუქცა ძლიერი იყო
 თავის სამხედრო ძალით, მაგრამ ში-
 ნაურული მდგომარეობა არ იყო
 მოსაწონი და ხალხისათვის საკეთილ-
 დლო. საქართველო შეწუხებული
 იყო ჯერ იმის გამო, რომ მონგო-
 ლებმა მახმადიანობა მიიღეს და სცილი-
 ლობდნენ, რომ ქართველებსაც მიე-
 ლოთ; ამ განზრახვით ისინი საქარ-
 თველოში აქცევდნენ ეკლესიებს.
 მეორეთ ამდროს საქართველო შე-
 წუხდა იმის გამო, რომ ღვეთ მეფისა
 და მანთანგ მეფის შუა ასტყდა ძა-
 ძმის მკვლელობის ომი. მესამე მიზე-
 ზი საქართველოს ცუდი მდგომარე-
 ობისა იყენენ ოსები. თუმცა შარე-
 ჯანოვითა მთავარი მახურებდა კე-
 თილად მეფისა; არამედ აქვდა მტე-
 რობა ქართველთა; ესოდენ გარდაეკიდნიან
 ერთმანეთსა, რომელიცა მძლე ექმნის მო-
 კლის.

ამათ შფოთთა შუა რა იყო ქვეყანა
 მართლისა, ამბობს მატეანე, 436 კა-
 ბადონზე, რამეთუ არ იყო მათ შინა
 თესვა, არცა შენობა ყოვლადვე და იყო
 ხუთ წელთა ოხრება, და იქმნა პურის მო-
 კლება, შიმშილობა ისრე გაძლიერდა,
 რომ მართლის ხალხი განახევრდა.
 მოელ მართლში პური არსად მოი-
 პოვებოდა. ხალხი ძლიერ შეწუხდა,
 არ იცოდა რა ექმნა და რით დაერ-
 ჩინა ცოლ-შვილი.

მაგრამ საღმრთო მან მადლომან ერს
 აღმოუბრწყინა მთიები — სამცხეს ათა-
 ბავი დიდი ბეკა. ღეთისა და ძლიერ-
 თა ქართველთა მადლიანი კალთის
 მფარველობისა ქვეშ მყოფი ერი
 არაოდეს არ ყოფილა ჭკუიანსა და
 ერის მანუგეშებელ ქართველებს
 მოკლებული. ასრე შეწუხებულ ხალ-
 ხის ბედს ბეკა დიდი და მისი ბრწყინ-
 ვალე ცოლი მახანი თავის კალთით
 ატარებდნენ. სამცხე საფაბაგაში
 პური მოიპოვებოდა, ამისთვის მარ-
 თლის ხალხი იქ დასახლდა. მონიერი
 ბეკა ყველას პურს აძლევდა და

